სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 180/06

ქ. თბილისი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შამათავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯობს.გე“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ალექსანდრე ხუბულავას, სახით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის განყოფილების გამგის (I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი) შერჩევის მიზნით განცხადების ვებ-გვერდზე განთავსების (CPV-79600000) სახელმწიფო შესყიდვა. (მოთხოვნის წერილი 4600/10)

1.2 მომსახურების სრული აღწერილობა:

N	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სრული ღირებულება (ლარი)
1	განცხადების განთავსება ვებ-გვერდზე	1 განცხადება	35.00	35.00
				სულ ჯამური ღირებულება: 35 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 35.00 (ოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსაუხრების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი ნათელა ლაცაბიძე.

4.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

4.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია პირია 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი მანონი ჯოჯუა.

5. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და პირობები

5.1. მიმწოდებელი ხელშეკრულების 1-ელი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებს მის კუთვნილ ინტერნეტ ვებ-გვერდზე (www.jobs.ge).

5.2. მიმწოდებელმა www.jobs.ge ვებ-გვერდზე განცხადება უნდა განათავსოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) დღის ვადაში.

5.3. ხელშეკრულება მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეცვალოს მომსახურების გაწევის პირობები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

6.1. წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

6.2. ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეატყობინოს მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ვადაზე ადრე იქნება შეწყვეტილი.

ბ) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2.. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა. უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

11. ხელშეკურლების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს „ჯობს.გე“**
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ N1	მისამართი: ქ.თბილისი; ვაკე-საბურთალოს რ-ნი ატენის ქ. N20
რეკვიზიტები:	**რეკვიზიტები:**
თსუ საკუთარი შემოსავლები	სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 **ა/ნ GE23TC0600000107467123**
საიდენტიფიკაციო კოდი:	**საიდენტიფიკაციო კოდი:**
204864548	205035282
	დირექტორი: ა. ხუბულავა

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.02.27 12:41:47 +04'00'

Alexander Khubulava 19001000547

Digitally signed by Alexander Khubulava
Date: 2023.02.27 13:42:24